მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული ინფორმაცია მცირე საწარმოებისთვის

შესაძლებლობა პრაქტიკოსებისთვის

International Federation of Accountants





ზოგადი მიმოხილვა

ინფორმაცია მდგრადი განვითარების შესახებ[1] ყურადღებას და პოპულარობას იძენს გლობალური თვალსაზრისით ბევრი მიზეზის გამო, საიდანაც არანაკლებ მნიშვნელოვანია ბიზნესის და ეკონომიკის მდგრადობა. ფოკუსირება ბიზნესის მდგრადობაზე და გადარჩენაზე კიდევ უფრო კრიტიკული მნიშვნელობის გახდა Covid-19 -ის პანდემიის გამო, რომელმაც კიდევ უფრო გაამწვავა სოციალური პრობლემების და ბიზნესის ზემოქმედება კლიმატზე. 2021 წლის განმავლობაში ბევრი ბიზნესი ცდილობდა „მომდევნო ნორმალური„ რეალობის გამონახვას. ამასთან, იმპულსი მდგრადი განვითარების სტანდარტების დამდგენი ახალი საერთაშორისო საბჭოსთვის ზრდას განაგრძობდა[2].

IFAC SMP საკონსულტაციო ჯგუფს მიაჩნია, რომ მდგრად ანგარიშგებაში შემავალი ინფორმაცია უკვე მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (SMEs) და მცირე და საშუალო პრაქტიკოსებისთვის (SMPs) და არა მხოლოდ გრძელვადიან პერიოდში.

ეს პუბლიკაცია ხაზს უსვამს ზოგიერთ სარგებელს რომელიც მოჰყვება მცირე და საშუალო ბიზნესის მიერ მდგრადი განვითარების შესახებ ინფორმაციის გამოყენებას და მის შესახებ ანგარიშგებას, პრაქტიკოსების მხრიდან გასაწევი შესაძლო სერვისების სპექტრის (საკონსულტაციო, ანგარიშგების , შეთანხმებული პროცედურების, გარიგებების და მარწმუნებელი მომსახურების) ჩათვლით. ის ასევე განმარტავს თუ როგორ შეუძლიათ მცირე პრაქტიკოსებს საჭირო უნარების განვითარება, ცოდნის დაგროვება და საწყისი ნაბიჯების გადადგმა. ამ გამოცემის ძირითად სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენენ მცირე და საშუალო პრაქტიკოსები, მაგრამ მცირე და საშუალო ბიზნესისა და სხვა პრაქტიკოსებისთვის ის შეიძლება ასევე გამოსადეგი იყოს.

.

[1] არ არსებობს საყოველთაოდ გამოყენებული განსაზღვრება მდგრადი ან „არასაფინანსო“ ინფორმაციის შესახებ. ამ პუბლიკაციისთვის მდგრადობის შესახებ ინფორმაცია არის ყოვლისმომცველი ფრაზა დასაქმებულების, მომწოდებლების, მომხმარებლების, საზოგადოების, ადამიანის უფლებების და გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით (ESG) საკითხებთან დაკავშირებით

[2] იხ. ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის ადვოკატირების უახლესი ინიციატივები - მდგრადი ანგარიშგების სტანდარტები



მცირე და საშუალო ბიზნესის და მდგრადი განვითარების შესახებ ინფორმაციის მნიშვნელობა

მცირე და საშუალო საწარმოები არსებითი მნიშვნელობისაა გლობალური ეკონომიკის სიჯანსაღის, სტაბილურობისა და მდგრადი განვითარებისთვის; მათზე მოდის კერძო სექტორის მთლიანი შიდა პროდუქტის უდიდესი ნაწილი, შექმნილი სიმდიდრე და სამუშაო ადგილები, სოციალური ზემოქმედება და „ნახშირბადის კვალი“. მსოფლიოს მასშტაბით მცირე და საშუალო ბიზნესი წარმოადგენს ბიზნესპოპულაციის 90 პროცენტზე მეტს და ჩვეულებრივ მათი განსაზღვრა სხვადასხვა ქვეყნების მიერ დადგენილი რაოდენობრივი ზღვრების მიხედვით ხდება (მაგ. თანამშრომლების რაოდენობა, აქტივების რაოდენობა და შემოსავლების დონე). თუმცა, რეალობა ისაა, რომ მცირე და საშუალო საწარმოები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან თავიანთი სიდიდით, საქმიანობის ვადით, დარგით, მფლობელობით, ბიზნესმოდელით და მისწრაფებებით და მათი დახასიათება ერთი საერთო მიდგომით ადვილი არ არის.

მნიშვნელოვანი სარგებლის მოტანა შეუძლია ინფორმაციას მდგრადი განვითარების შესახებ შიდა გადაწყვეტილებების მისაღებად და მიდგომის გასაფართოებლად თუ რას ფიქრობს და გეგმავს ბიზნესი და როგორ წარმოაჩენს თავის ისტორიას. ქვევით წარმოდგენილია სამი სფერო, რომლებიც საჭიროებს ყურადღებას:

- მარტივად ხელმისაწვდომი, რელევანტური და სანდო ინფორმაციის არსებობა მდგრადი განვითარების შესახებ, რომელიც შესაძლებელს გახდის უკეთესად ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებას, სტრატეგიული დაგეგმვის გაძლიერებას და რისკის მართვას და ამგვარად ფოკუსირებას მოახდენს ინტეგრირებულ აზროვნებაზე.
- ანგარიშგება მდგრადი განვითარების შესახებ გარე დაინტერესებული მხარეების და ბიზნესპარტნიორების წინაშე რომლებიც ითხოვენ მას.
- პრაქტიკოსისგან შეთანხმებული პროცედურების მქონე გარიგების განხორციელების მოთხოვნა დამოუკიდებელი რწმუნების მისაღებად მდგრადი განვითარების შესახებ ინფორმაციასთან დაკავშირებით

.

SUSTAINABLE DEVELOPMENT GOALS

მსს - ები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ გაეროს მიერ განსაზღვრული მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებაში. კერძოდ, მე -8 მიზანია: „ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის და ყველასთვის დასაქმების და ღირსეული სამუშაოს უზრუნველყოფა“, მე-9 მიზანია: ‘მდგრადი ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა, მდგრადი ინდუსტრიალიზაციის ხელშეწყობა და ინოვაციის გაძლიერება“ (მაგ. მსს-ების პოტენციალის ათვისება გაეროს განვითარების მიზნებისთვის) და მე-13 მიზანია: ‘გადაუდებელი ღონისძიებების განხორციელება კლიმატის ცვლილების და მისი ზემოქმედების მიმართ’.



1

მარტივად ხელმისაწვდომი, რელევანტური და სანდო ინფორმაციის არსებობა მდგრადი განვითარების შესახებ, რომელიც შესაძლებელს გახდის უკეთესად ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებას, სტრატეგიული დაგეგმვის გაძლიერებას და რისკის მართვას და ამგვარად ფოკუსირებას მოახდენს ინტეგრირებულ აზროვნებაზე.

ზოგიერთი მსს-ესისთვის მდგრადი განვითარების შესახებ ინფორმაციის ძირითადი ფასეულობა და სარგებელი არის შიდა გადაწყვეტილებების მიღება და არა გარე ანგარიშგება. რელევანტური, დროული, შესადარისი და ზუსტი ინფორმაცია მდგრადი განვითარების შესახებ ხელს უწყობს მცირე და საშუალო ბიზნესს თავისი სტრატეგიის, ბიზნესმოდელის და გარემოზე და საზოგადოებაზე გავლენის სრულყოფილ გააზრებაში. და მართლაც, არსებობს მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული ბევრი საკითხი, რომლის იგნორირებაც მენეჯმენტს უბრალოდ არ შეუძლია თუ მას სურს რომ საწარმო იყოს მტკიცე, ეფექტურად მართოს რისკი და მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილებები იმისათვის რომ უზრუნველყოს საკუთარი მდგრადი სამომავლო წარმატება. მაგალითად, თუ ბიზნესს სჭირდება წყლის საიმედო მიწოდება საწარმოო პროცესისთვის, კლიმატის ცვლილებით გამოწვეული გვალვა რისკი იქნება მონიტორინგის თვალსაზრისით.

საფინანსო და არასაფინანსო ინფორმაციის ანალიზი (ე.ი. ინფორმაცია მდგრადი განვითარების შესახებ) მაქსიმალურად ეფექტურია, როდესაც ეს ორი დაკავშირებულია ინტეგრირებული მიდგომით. მაგალითად, ზოგიერთ შესაძლებლობას შეიძლება მოჰყვეს კარგი საფინანსო უკუგება, მაგრამ ასევე საჭიროებდეს მრავალმხრივ განხილვას თუ მის შედეგს შეუძლია ზიანის მიყენება ბიზნესის რეპუტაციისთვის ან სამართალწარმოების გამოწვევა. სხვებმა შეიძლება მოიტანოს მოკლევადიანი სარგებელი, მაგრამ ზიანის მომტანი იყოს ბიზნესის სამომავლო საქმიანობისთვის.

ღირებულების ანგარიშგების ფონდი ინტეგრირებული ანგარიშგების საერთაშორისო ჩარჩო ინტეგრირებულ აზროვნებას განსაზღვრავს როგორც:

„ორგანიზაციის მიერ მის სხვადასხვა საოპერაციო და ფუნქციურ ერთეულებს და „კაპიტალის მულტიპლიკატორებს“ შორის ურთიერთობების აქტიურ გათვალისწინებას, რომელსაც ორგანიზაცია იყენებს ან რომელზეც გავლენას ახდენს. ინტეგრირებულ აზროვნებას მივყავართ ინტეგრირებული გადაწყვეტილებების მიღებამდე და ღონისძიებებამდე, რომლებიც ითვალისწინებს ღირებულების შექმნას მოკლე, საშუალო და გრძელვადიან პერიოდში.“

ცენტრალური თემა მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ინტეგრირებულ აზროვნებასთან დაკავშირებით ემყარება შიდა დაყოფას ადამიანებს და დეპარტამენტებს შორის ისე, რომ ორგანიზაციას შეეძლოს კოლექტიურად ბიზნესის ძირითადი ელემენტების გარკვევა. ეს ელემენტები მოიცავს მართვას, სტრატეგიას, ბიზნესმოდელს და შესაძლებლობებს და რისკებს ტენდენციების და საკითხების კონტექსტში, რომლებიც გავლენას ახდენენ ბიზნესზე. ინტეგრირებული აზროვნება ასევე გულისხმობს ორგანიზაციის მიერ გამოყენებული განსხვავებული რესურსების და იმ ურთიერთობების გათვალისწინებას, რომლებსაც ის ემყარება. აღნიშნული მას უკეთეს პოზიციაში აყენებს გადაწყვეტილებების მისაღებად, რომლებიც ხელს უწყობს მისი სიცოცხლისუნარიანობის და მდგრადობის უზრუნველყოფას დროთა განმავლობაში. ეს მოსაზრებები ხშირად მეტად მნიშვნელოვანია მსს-ებისთვის, სადაც მენეჯმენტის რესურსები შეიძლება შეზღუდული იყოს, თუმცა, ბევრ შემთხვევაში მფლობელი - მენეჯერები შესაძლოა უკვე ინტუიციურად ფიქრობდნენ ინტეგრირებული ფორმით და უბრალოდ სჭირდებოდეთ საკუთარი მიდგომის დახვეწა. მსს -ებისთვის ერთ-ერთი უპირატესობაა ის რომ უფრო კომპლექსური ბიზნესმოდელების მქონე ორგანიზაციებთან შედარებით ინტეგრირებული აზროვნების დანერგვის პროცესი შეიძლება შედარებით მარტივი იყოს და ნაკლებ დროს მოითხოვდეს.

ადგილი აქვს მზარდ ზეწოლას გარკვეულ დარგებში, რომ კომპანიების პრაქტიკა მდგრად განვითარებაზე იყოს ფოკუსირებული. მაგალითად, მსს-ების წვლილი ნარჩენებით დაბინძურებაში მსოფლიოს მთლიანი მაჩვენებლის **დაახლოებით** 60 – 70% -ია.

პროცესების, სისტემების და კონტროლის მექანიზმების შექმნას (ან გაძლიერებას) მდგრადი განვითარების შესახებ ინფორმაციის იდენტიფიკაციის, გაზომვის და ანალიზის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი დადებითი მხარე აქვს. ეს შეიძლება უკავშირდებოდეს ეფექტიანობის ამაღლებას და კონკურენტებისგან გამორჩეულობას. გარემოსდაცვითი საქმიანობის **სარგებელი** მსს- ებისთვის გულისხმობს ფინანსური საქმიანობის გაუმჯობესებას და ხარჯების შემცირებას ბიზნესრისკების გააზრებით და მათ მიმართ შესაბამისი გადაწყვეტების გამონახვით, რაც შეიძლება მოიცავდეს კომპანიის რეპუტაციის გაუმჯობესებას და დაინტერესებულ მხარეებთან მისი ურთიერთობის ლეგიტიმურობის გამყარებას. ინფორმაცია მდგრადი განვითარების შესახებ საფუძველს ქმნის მდგრადი ბიზნეს-პრაქტიკის ოპტიმიზაციისთვის, იმის უზრუნველყოფის ჩათვლით, რომ სამუშაო ადგილზე პირობები ხელს უწყობდეს ჯანმრთელობის და უსაფრთხოების დაცვას, მრავალფეროვნების ხელშეწყობას და ნარჩენების და ენერგოხარჯების შემცირებას. უმოქმედობის რისკი შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს.

IFAC -ის და ინტეგრირებული ანგარიშგების საერთაშორისო საბჭოს (IIRC) პუბლიკაცია *„ღირებულების შექმნა მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ინტეგრირებული აზროვნების საშუალებით - ინტეგრირებული ანგარიშგების სარგებელი“* ეხმარება მსს -ებს მათ შორის არაკომერციულ ორგანიზაციებს ინტეგრირებული აზროვნების და ანგარიშგების დანერგვაში და მათი სარგებლის რეალიზაციაში.

მდგრადი განვითარების ინფორმაციასთან დაკავშირებული საონსულტაციო მომსახურება

ბოლო წლებში ადგილი ჰქონდა ბიზნესთან დაკავშირებული საკონსულტაციო სერვისების ზრდას და დივერსიფიკაციას. *IFAC -ის მიერ შემუშავებული პრაქტიკის გარდაქმნის სამოქმედო გეგმა - მომავლის გზამკვლევი* ეხება განვითარებადი ფირმის საოპერაციო მოდელს და საკონსულტაციო მომსახურების, როგორც მომავლისათვის მზადყოფნის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულების, განსაზღვრას. ეს მოიცავდა გადაფასების მომსახურებას და ტრანზაქციულიდან სტრატეგიულ სერვისებზე გადასვლას, რომლებიც ფოკუსირებულია მონაცემებზე დამყარებული ინფორმაციის გამოყენებაზე. ის ასევე უსვამს ხაზს სპეციალიზაციის მნიშვნელობას, რომელიც შეიძლება ეხებოდეს მდგრად განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

მცირე პრაქტიკოსები, როგორც სანდო მრჩევლები, კარგ პოზიციაში იმყოფებიან მითითებების და რეკომენდაციების მისაწოდებლად მსს-ების მენეჯმენტისთვის მდგრადი განვითარების საკითხებზე. ეს ასეა, რადგან ისინი იცნობენ ბიზნესს, ისევე როგორც დარგს და გარემოს, რომელშიც ისინი ფუნქციონირებენ. მათ შეუძლიათ მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული ინფორმაციის განხილვა, რომელიც მოცემულ მომენტში შესაძლოა მათ ბიზნესრადარზე არ ჩანდეს და აერთიანებდეს საფინანსო და არასაფინანსო ცოდნას ღონისძიებების სხვადასხვა საკითხებთან მიმართებით საუკეთესო მიმართულებით წარმართვის მიზნით, როგორებიცაა:

- საიმედო მონაცემების დაფიქსირება ზუსტი, დროული, რელევანტური და შესადარისი ინფორმაციის უზრუნველსაყოფად მდგრადი განვითარების შესახებ.
- ანგარიშგების, შიდა რისკის მართვის და მმართველობის სისტემების შემუშავება და რეკომენდაციების მომზადება პროცესის გასაუმჯობესებლად.
- მდგრადი და პასუხისმგებლობიანი ბიზნესპრაქტიკის ოპტიმიზაცია (მაგ. რესურსების და ენერგოხარჯების შემცირება და ინვესტირება ახალ ტექნიკასა და პროცესებში ეფექტიანობის ასამაღლებლად). ეს შეიძლება ემყარებოდეს ინფორმაციას სპეციალურად შერჩეული მაჩვენებლებიდან, რომელსაც შეუძლია მონაცემების ფარდობის და ვიზუალიზაციის ანალიზი არასაფინანსო მაჩვენებლების ფინანსურთან გასაერთიანებლად.
- რეკომენდაციების გაწევა ძლიერი მართვის შესახებ საოჯახო ბიზნესის ფარგლებში, მართვის თანამედროვე პრაქტიკასთან შესაბამისობის და **ჩანაცვლების ადრეული დაგეგმვის** საჭიროების ჩათვლით.
- ინდიკატორების და მდგრადი განვითარების მიზნების შემუშავება და მონიტორინგი კომპანიის სტრატეგიის საფუძველზე.
- სცენარის ანალიზის განხორციელება რისკის შეფასების ხელშესაწყობად (მაგ. საოპერაციო მარჟებზე კლიმატის ცვლილების გავლენის გარკვევაში დახმარება);
- ძირითადი დაინტერესებული მხარეების განსაზღვრა და მიწოდების ჯაჭვის რისკების და შესაძლებლობების იდენტიფიკაცია.

კონსულტაციების წარმოება სერტიფიცირებული კორპორაციის სტატუსის (B Corps) მისაღებად, რაც ნიშნავს ბიზნესს, რომელიც პასუხობს სოციალური და ეკოლოგიური მაჩვენებლების, საზოგადოებრივი გამჭვირვალობის და სამართლებრივი ანგარიშვალდებულების უმაღლეს სტანდარტებს

Certified B Corporation

საჯარო პრაქტიკაში ჩართულ პროფესიონალ ბუღალტრებს ეთიკის უმაღლესი სტანდარტების დაცვა მოეთხოვებათ. IFAC -ის წევრმა ორგანიზაციებმა უნდა მიიღონ და დანერგონ ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ (IESBA) გამოცემულ *პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო კოდექსით განსაზღვრულ სტანდარტებზე (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით)* არანაკლებ მომთხოვნი ეთიკის სტანდარტები.

ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IESBA) კოდექსი მოიცავს დამოუკიდებლობის მოთხოვნებს, რომელთაგან ზოგიერთი ფირმებს უკრძალავს გარკვეული ტიპის არამარწმუნებელი მომსახურების გაწევას თავიანთი აუდიტორული მომსახურების კლიენტებისთვის. მაგალითად, არამარწმუნებელი მომსახურება არ უნდა მოიცავდეს მართვის პასუხისმგებლობის აღებას აუდიტორული მომსახურების კლიენტისთვის. მართვის პასუხისმგებლობა მოიცავს სუბიექტის კონტროლს, ხელმძღვანელობას და ლიდერობას გადაწყვეტილებების მიღების ჩათვლით შესყიდვის, ადამიანური, ფინანსური, ტექნოლოგიური, ფიზიკური და არამატერიალური რესურსების გამოყენების და კონტროლის შესახებ.

დებულებები ახლახან იქნა გადამუშავებული იმ გარემოებების განმარტებისა და ახსნისთვის, რომლებშიც ფირმები შეიძლება ეწოდნენ ან არ ეწეოდნენ არამარწმუნებელ მომსახურებას აუდიტორული ან მარწმუნებელი მომსახურების კლიენტისთვის. აღნიშნული მოთხოვნები ამოქმედდება იმ პერიოდების აუდიტორული შემოწმებებისა და ფინანსური ანგარიშგებების მიმოხილვისთვის, რომლებიც დაიწყება 2022 წლის 15 დეკემბერს ან ამ თარიღის შემდეგ.

2

ანგარიშგება მდგრადი განვითარების შესახებ გარე დაინტერესებული მხარეების და ბიზნესპარტნიორების წინაშე რომლებიც ითხოვენ მას

ბოლო წლებში ადგილი ჰქონდა მცირე და საშუალო ბიზნესის მიერ მდგრადი განვითარების შესახებ ინფორმაციის ანგარიშგებას და ეს ტენდეცია სავარაუდოდ გაიზრდება. ბევრი მიზეზი არსებობს, მაგალითად როგორებიცაა მიწოდების ჯაჭვის ზეწოლა (ზემოქმედება მსხვილი ბიზნესის მხრიდან, რომელსაც სურს ან მოეთხოვება კონკრეტულ სტანდარტებთან მიწოდების ჯაჭვის შესაბამისობის უზრუნველყოფა), მარეგულირებელი მოთხოვნები და დაინტერესებულ მხარეთა მოთხოვნები (მაგ. მოთხოვნა ბანკებისგან ან სადაზღვევო კომპანიების მხრიდან, რომელთაც სჭირდებათ საიმედო ინფორმაცია თავისი საკუთარი მარეგულირებელი მოთხოვნების შესასრულებლად). მსს-ებს შეიძლება სურდეთ ნებაყოფლობითი ანგარიშგება იმის საჩვენებლად, რომ ისინი თავიანთი კონკურენტების პირისპირ მოწინავე ხაზზე რჩებიან.

მცირე და საშუალო ბიზნესი განსხვავებულად უპასუხებს წნეხს სიდიდიდან, დარგიდან, მფლობელობიდან, ბიზნესმოდელებისა და ხელმისაწვდომი რესურსებიდან გამომდინარე. მსს-ებს, რომლებსაც დანერგილი აქვთ **ISO 14001** (გარემოს დაცვის საერთაშორისო სტანდარტი) სავარაუდოდ გააჩნიათ პროცესები და ინფორმაცია, რომლებიც ასევე საჭიროა მდგრადი განვითარების ზემოქმედების და ეფექტიანობის შესახებ ანგარიშგებისთვის.

მართვის შიდა პროცესების და გადაწყვეტილების მიღების გაუმჯობესებასთან ერთად, როგორც ზევით აღნიშნა, მდგრადი განვითარების შესახებ ინფორმაციის ანგარიშგება განხილულ უნდა იქნეს როგორც ინვესტიცია და არა მხოლოდ როგორც ხარჯი, რადგან მას შეუძლია სხვა მნიშვნელოვანი სარგებლის მოტანა, მათ შორის:

- გაცილებით დიდი ნდობის და დამაჯერებლობის შექმნა მომხმარებლებთან, მომწოდებლებთან, სხვა დაინტერესებულ მხარეებთან და საზოგადოებასთან.
- ბიზნესის გადაცემის ან გაყიდვის პოტენციალის მაქსიმალური ზრდა შეფასების უკეთესი საფუძვლის უზრუნველყოფით.
- დაფინანსების უზრუნველყოფა გონივრული ხარჯით. ბევრ კრედიტორს სურს იცოდეს თუ როგორ იქნა გამოყენებული ფინანსური კაპიტალი წარსულში და როგორია ბიზნესის სამომავლო გეგმები ჯანსაღი სტრატეგიის და კარგად შედგენილი გეგმის საფუძველზე. ამასთან ერთად, აღნიშნულმა შესაძლოა შესაძლებელი გახადოს წვდომა დაფინანსებასთან რაც სხვაგვარად შეიძლება მიუწვდომელი იყოს, მაგალითად როგორიცაა გრანტები, რომლებსაც სჭირდება შესყიდვის აპლიკაცია.
- ნიჭის მოზიდვა და შენარჩუნება. დაქირავებულ პირებს სურთ საქმიანობა ისეთ ორგანიზაციებში, რომლებიც დადებით გავლენას ახდენენ გარემოზე და საზოგადოებაზე. **კვლევა** მიუთითებს, რომ მეორე ათასწლეულში დაბადებული თაობა არ დათანხმდება მუშაობას კომპანიაში, რომელსაც არ აქვს მდგრადი კორპორაციული განვითარების შესახებ ანგარიშგების (CSR) მტკიცე პოლიტიკა, ხოლო თაობა Z (დაახლოებით 1995 წლის შემდეგ დაბადებული ადამიანები) კარიერულ არჩევანს ორგანიზაციის მდგრადი განვითარების მიდგომის საფუძველზე აკეთებს და წარმოადგენს **'პირველ თაობას, რომელიც უპირატესობას ანიჭებს მიზანს ხელფასთან შედარებით."**



IFAC -ს მიაჩნია რომ მდგრადი განვითარების შესახებ სავალდებულო ანგარიშგების მოთხოვნების დაკისრება ყველა მცირე და საშუალო ბიზნესზე მნიშვნელოვან ტვირთს შექმნის. IFAC-ი მხარს უჭერს ნებაყოფლობით მიდგომას და მიაჩნია, რომ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მსს-ების ჩართვა მდგრადი განვითარების შესახებ გლობალური ანგარიშგების სისტემაში და შემუშავებული სტანდარტები შეიძლება მასშტაბირებადი იყოს მათი გამოყენების პროცესში.

მდგრადი ანგარიშგების მომსახურება

მსს-ებს შეიძლება შეზღუდული რესურსები ჰქონდეთ და ხშირად დამოკიდებულნი იყვნენ პროფესიონალ ბუღალტრებზე მდგრადი განვითარების შესახებ მაღალი ხარისხის ანგარიშგების მომსახურების და რეკომენდაციების მისაღებად. **IFAC -ის მიერ 2018 წელს განხორციელებულმა მცირე პრაქტიკოსების გლობალურმა კვლევამ** ხაზი გაუსვა, რომ მცირე პრაქტიკოსების დაახლოებით 85% აწარმოებდა საკონსულტაციო მომსახურების გაწევას და მოსალოდნელი იყო ამ ტიპის მომსახურების მნიშვნელოვანი ზრდა მომავალში. ფირმების თოთხმეტი პროცენტი ახორციელებდა გაფართოებული კორპორაციული ანგარიშგების სერვისებს (მაგ. ინტეგრირებული ანგარიშგება, ანგარიშგება მდგრადი განვითარების შესახებ და მდგრადი განვითარების კორპორაციული ანგარიშგება), რაც მნიშვნელოვნად გაიზარდა ბოლო წლებში და სავარაუდოდ მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება.



3

პრაქტიკოსისგან შეთანხმებული პროცედურების მქონე გარიგების განხორციელების მოთხოვნა დამოუკიდებელი რწმუნების მისაღებად მდგრადი განვითარების შესახებ ინფორმაციასთან დაკავშირებით



გარიგებები შეთანხმებული პროცედურებით (AUP)

გარიგებები შეთანხმებული პროცედურებით პრაქტიკოსის მიერ პროცედურების შესრულებას მოიცავს, რომლებიც შეთანხმებულია მსს-სთან ან ვინმე სხვა პირთან რომელმაც კონკრეტულად მოითხოვა სამუშაოს შესრულება საფინანსო ან არასაფინანსო საკითხებზე. ანგარიშში წარმოდგენილია შესრულებული პროცედურები და დაკავშირებული შედეგები; რწმუნების მოპოვება არ ხდება და არც დასკვნის ან მოსაზრების გამოხატვა.

შეთანხმებული პროცედურების მქონე გარიგებები მცირე და საშუალო ბიზნესს მოქნილობას სთავაზობს, რამდენადაც მომსახურება შეიძლება მორგებულ იქნეს განსხვავებულ გარემოებებზე და შეიძლება მოიცავდეს ნებისმიერ თემას, რომელზეც სრულდება შეთანხმებული პროცედურები, ინფორმაციის, დოკუმენტების, შეფასების ან კანონებთან და რეგულაციებთან შესაბამისობის ჩათვლით. შეთანხმებული პროცედურების მქონე გარიგებები ჩვეულებრივ სრულდება როგორც საფინანსო, ისე არასაფინანსო ინფორმაციაზე, სხვადასხვა მიზნით, რეგულაციის ან მოთხოვნის გამო. ერთი მეტად რელევანტური მაგალითი იქნება სათბური გაზის ემისიის მოცულობის გადაანგარიშების წარდგენა მარეგულირებელი ორგანოსთვის.

სერვისები შეთანხმებული პროცედურებით (AUP)

მცირე და საშუალო პრაქტიკოსებს შეუძლიათ შეთანხმებული პროცედურების მქონე გარიგებების შესრულება როგორც საფინანსო ისე არასაფინანსო საკითხებზე, **დაკავშირებული სერვისების შესახებ 4400 (გადამუშავებული) საერთაშორისო სტანდარტის გამოყენებით (*შეთანხმებული პროცედურების მქონე გარიგებები*).**

აუდიტორული და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (IAASB) სტანდარტის გადახედვა განახორციელა, რომელიც ეფექტურია შეთანხმებული პროცედურების მქონე გარიგებებისთვის და რომლებისთვისაც გარიგების პირობები შეთანხმებულ იქნა 2022 წლის 1-ლ იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ. დაკავშირებული სერვისების შესახებ 4400 (გადამუშავებული) საერთაშორისო სტანდარტის მიმდინარე ვერსია მოქმედებს ძალაში შესვლის ახალ თარიღამდე.

2020 წლის დეკემბერში, IFAC -მა გამოაქვეყნა **„შეთანხმებული პროცედურების მქონე გარიგებები - ზრდის და ღირებულების შესაძლებლობა“,** რომელიც ეხება ასეთი სერვისების შეთავაზების სარგებელს, როცა მიზანშეწონილია გარიგება შეთანხმებული პროცედურებით; ის ასევე წარმოგვიდგენს საფინანსო და არასაფინანსო საკითხების ნიმუშებს და ექვს მოკლე მაგალითს, სადაც ნაჩვენებია გამოსაყენებელი შესაძლო პროცედურები.

მარწმუნებელი გარიგებები[3]

დამოუკიდებელი რწმუნება ზრდის მცირე და საშუალო ბიზნესის მიერ წარმოდგენილი არასაფინანსო ინფორმაციის დამაჯერებლობას და საზოგადოების ნდობას მის მიმართ. მარწმუნებელი გარიგება მოიცავს პრაქტიკოსს, რომლის მიზანია საკმარისი სათანადო მტკიცებულების მოპოვება დასკვნის გამოსახატავად, რომლის დანიშნულება იქნება სამიზნე მომხმარებლების ნდობის ამაღლება მოცემულ თემატურ ინფორმაციასთან დაკავშირებით. მაგალითად, სუბიექტმა შეიძლება მოამზადოს და წარმოადგინოს ინფორმაცია კონკრეტული მდგრადი განვითარების შესახებ მდგრადი განვითარების ასპექტების გაზომვით ან შეფასებით, რომლებიც რელევანტურია მის გარემოებებში, როგორებიცაა მაგალითად იდენტიფიცირებული გარემოსდაცვითი ან სოციალური მაჩვენებლები და მიზნები მოქმედი კრიტერიუმების მიმართ. შემდეგ მას შეუძლია პრაქტიკოსს მოთხოვოს მასზე მარწმუნებელი გარიგების განხორციელება. მარწმუნებელი გარიგების განხორციელებისას პრაქტიკოსის ამოცანაა შესაბამისად დასაბუთებული ან შეზღუდული რწმუნების მოპოვება, იმასთან დაკავშირებით არის თუ არა წარმოდგენილი ინფორმაცია არსებითი შეცდომების გარეშე და მოამზადოს დასკვნა გაზომვის ან შეფასების შედეგის შესახებ მოცემულ თემასთან დაკავშირებით. ეს ხორციელდება წერილობითი ანგარიშის მეშვეობით, რომელიც გადმოსცემს მარწმუნებელ დასკვნას და აღწერს დასკვნის საფუძველს.

მარწმუნებელი სერვისები

მცირე პრაქტიკოსები კარგ პოზიციაში იმყოფებიან მდგრადი განვითარების შესახებ ინფორმაციასთან დაკავშირებით მაღალი ხარისხის მარწმუნებელი მომსახურების გასაწევად საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე იმის გათვალისწინებით, რომ მარწმუნებელი მომსახურების დებულება IAASB's სტანდარტების თანახმად ემყარება შემდეგს (და იმის გათვალისწინებით, რომ მცირე პრაქტიკოსები შეძლებენ აღნიშნული მოთხოვნების დაკმაყოფილებას):

- პრაქტიკოსი არის ფირმის წევრი, რომელიც ექვემდებარება ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტებს (ISQM) 1[4], ან სხვა პროფესიულ მოთხოვნებს, ან ხარისხის მართვის სისტემასთან დაკავშირებით ფირმის პასუხისმგებლობის მოთხოვნებს კანონის ან რეგულაციის შესაბამისად, რომელიც ხმსს 1 -ზე არანაკლებ მომთხოვნია.
- პრაქტიკოსი და გარიგების გუნდის წევრები ექვემდებარებიან პროფესიულ ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო კოდექსით განსაზღვრულ მოთხოვნებს (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით), რომლებიც გამოცემულია IESBA-ს ან პროფესიული მოთხოვნების ან მარეგულირებელი წესების შემმუშავებელი სხვა ორგანოს მიერ და რომლებიც არანაკლებ მომთხოვნია.
- პრაქტიკოსი ასრულებს სტანდარტის მოთხოვნებს, რომლებიც შეეხება მის საკუთარ კომპეტენციას (მარწმუნებელი უნარების და ტექნიკის ჩათვლით) და ასევე სხვების კომპეტენციას (რომლებიც ასრულებენ გარიგებას).

რელევანტური IAASB სტანდარტები მოიცავს შემდეგს:

- ***მარწმუნებელი გარიგების საერთაშორისო სტრუქტურული საფუძვლები 3000 (გადამუშავებული), მარწმუნებელი გარიგებები გასული პერიოდების ფინანსური ინფორმაციის აუდიტისა და მიმოხილვის გარდა*** . ეს არის IAASB -ის საერთო სტანდარტი, რომელიც გამოიყენება ყველა მარწმუნებელი გარიგების მიმართ მგსს სერიის ფარგლებში. თუ კონკრეტული თემატური მგსს არის გარიგებისთვის რელევანტური (მაგ. მგსს 3410 მომდევნო პუნქტში ქვევით), ის მგსს გამოიყენება მგსს 3000 -თან (გადამუშავებული) ერთად
  -პრაქტიკოსმა უნდა შეასრულოს მგსს 3000 (გადამუშავებული) და კონკრეტული თემატური მგსს -ის მოთხოვნები.
- **მგსს 3410 მარწმუნებელი გარიგებები სათბური გაზის ანგარიშგების შესახებ** ეხება მარწმუნებელ გარიგებებს მსს-ების მიერ სათბური გაზის შესახებ ანგარიშგებასთან დაკავშირებით.

[3] აუდიტის ან წინა პერიოდის ფინანსური ინფორმაციის შეფასების გარდა

[4] ხარისხის მართვის პირველი საერთაშორისო სტანდარტი, ხარისხის მართვა ფირმებისთვის რომლებიც ახორციელებენ აუდიტს ან ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვას, ან სხვა მარწმუნებელ ან დაკავშირებული მომსახურების გარიგებებს (ხმსს 1) - ძალაშია 2022 წლის 15 დეკემბრიდან და ანაცვლებს IAASB -ს მიმდინარე სტანდარტს - ხარისხის კონტროლის პირველი საერთაშორისო სტანდარტი (ხკსს 1)



2021 წლის ივნისში IFAC მა და AICPA-CIMA - მ გამოაქვეყნეს გლობალური საბაზისო კვლევა, '**არსებული მდგომარეობა მდგრადი განვითარების უზრუნველყოფაში**', რომელიც მოიცავს და აანალიზებს მასშტაბს რომლითაც ლისტინგში შემავალი კომპანიები აწარმოებენ ანგარიშგებას და იღებენ რწმუნებას მდგრადი განვითარების შესახებ გამჟღავნებული ინფორმაციის თაობაზე, თუ რწმუნების რომელი სტანდარტები იყო გამოყენებული და რომელი კომპანიები აწარმოებენ მარწმუნებელი მომსახურების გაწევას.

კომპანიების 91% -მა წარადგინა მდგრადი განვითარების შესახებ ინფორმაციის გარკვეული დონე.

კომპანიების 51% -მა რომელმაც წარადგინა მდგრადი განვითარების შესახებ ინფორმაცია უზრუნველყო მასთან დაკავშირებით რწმუნების გარკვეული დონე

აღნიშნული მარწმუნებელი გარიგებების **63%** განხორციელდა აუდიტორული ან დაკავშირებული ფირების მიერ

მცირე და საშუალო ბიზნესისთვის აღნიშნული იძლევა სავარაუდო ტენდენციას, რადგან მდგრადი განვითარების შესახებ ინფორმაციის ანგარიშგების და რწმუნების მნიშვნელობა სულ უფრო მეტად არის აღიარებული.



მგსს 3000 (გადამუშავებული ვერსია) გამოყენების ხელშეწყობის მიზნით აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IAASB) გარე ანგარიშგების მარწმუნებელი გარიგებების გაფართოებულმა პროექტმა შეიმუშავა დამატებითი **მითითებები,** რაც მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია არასაფინანსო ანგარიშგების მარწმუნებელი მომსახურების განვითარებაში.

IFAC -მა ასევე გამოაქვეყნა **„მგსს 3 000-ის გამოყენება (გადამუშავებული ვერსია) მდგრადი განვითარების მარწმუნებელი გარიგებებში"**

მნიშვნელოვანია, რომ შეთანხმებული პროცედურების და მარწმუნებელი მომსახურების გარიგებების განხორციელებისას მცირე და საშუალო პრაქტიკოსებს მოეთხოვებოდეთ ხარისხის მართვის და პროფესიული ეთიკის მოთხოვნების შესრულება ფირმაში და გარიგების დონეზე, რომლებიც შემუშავებულია ხარისხის უზრუნველსაყოფად და საზოგადოების ინტერესის დასაცავად.

2020 წელს IESBA -მ გამოსცა დამოუკიდებელი სტანდარტების **გადამუშავებული** რედაქცია მარწმუნებელი გარიგებებისთვის აუდიტის და გარიგებების მიმოხილვის გარდა (თავი 4B) მგსს 3000 -ში (გადამუშავებული ვერსია) გამოყენებული ტერმინების და კონცეფციების ასახვის მიზნით. გადამუშავებული რედაქცია ძალში შევიდა 2021 წლის 15 ივნისს.

ცოდნის და კომპეტენციის დაგროვება და საწყისი ნაბიჯები

მომავალი მცირე და საშუალო პრაქტიკოსებს სთავაზობს მნიშვნელოვან შესაძლებლობებს ზრდისთვის და სწრაფად ცვალებად სამყაროსთან ადაპტაციისთვის. ამ ახალ ეპოქაში მდგრადი განვითარების საკითხები სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს როგორც კლიენტთა მომსახურებაში, ისე აქტუალურობის და მომდევნო თაობის ნიჭის მოზიდვასა და შენარჩუნებაში.

მცირე ფირმები უნდა გაყვნენ თავიანთ გზას შიდა მდგრადი განვითარების პოლიტიკის და პროცედურების გათვალისწინებით. ეს შეიძლება გულისხმობდეს იმის გათვალისწინებას თუ როგორ ზრუნავს ფირმა თავის თანამშრომლებზე, მომწოდებლების არჩევაზე, როგორ რეაგირებას ახდენს ნახშირბადის შემცველი ნაერთების ემისიაზე ბუნებაში და მის ზემოქმედებაზე ადგილობრივ საზოგადოებაზე და გარემოზე. ფირმას ასევე სჭირდება მუდმივი ცვლილების და განვითარების საჭიროების გაცნობიერება, რომ თანამშრომლებს მისცეს მდგრადი განვითარების საკითხებთან დაკავშირებით ტრენინგის შესაძლებლობა, ბუღალტერთა პროფესიული ორგანიზაციის უწყვეტი პროფესიული განვითარების კურსების და ინფორმაციის სახით.



ტრენინგის საფუძველზე პროფესიონალ ბუღალტრებს აქვთ ძირითადი უნარები და კომპეტენციები, რომლებიც საჭიროა მდგრადი განვითარების შესახებ ინფორმაციის ან რწმუნების მოსამზადებლად გრძელვადიანი სწავლის ჩათვლით ახალი გამოცდილების შესაძენად რომ შეძლონ მდგრადი განვითარების საკითხების ფართო სპექტრთან დაკავშირებით რეკომენდაციების გაწევა. თითოეული მცირე პრაქტიკოსისთვის წინ მიმავალი გზა განსხვავებული იქნება და განსაზღვრული მათთვის სპეციფიკური ფაქტორების სპექტრით .

მცირე ფირმისთვის მომსახურების გაწევის დასაწყებად შეიძლება საჭირო იყოს ინვესტირება კონკრეტული ცოდნის და გამოცდილების მქონე ახალ პერსონალში, არსებული პერსონალის საჭიროებებზე მორგებული ტრენინგი ან სხვა ფირმებთან პარტნიორობა, ვისაც უკვე აქვს სპეციალიზებული სერვისები მოცემულ სფეროში. საწყისი ნაბიჯები შეიძლება მოიცავდეს იმის იდენტიფიკაციას თუ რომელი კლიენტები შეესაბამებიან მდგრადი განვითარების საკითხების ფოკუსს. მაგალითად, სუბიექტები რომლებიც საზოგადოებრივი მომსახურების გაწევას ახორციელებენ (მაგალითად როგორებიცაა, ჯანდაცვის სერვისები ან სოციალური საწარმოები), კომუნალური მომსახურების კომპანიები (მაგ. ელექტროენერგიის, გაზის, საზოგადოებრივი ტრანსპორტის და დასუფთავების და ნარჩენების გადამუშავების სერვისები) და არაკომერციული ორგანიზაციები. ამ ორგანიზაციებს ზოგადად დონორების, მოხალისეების და საზოგადოებრივი პარტნიორების ფართო ქსელი აქვთ, ისევე როგორც ადგილობრივ/ რეგიონულ/ ეროვნულ სახელმწიფო ორგანიზაციებს და მათთან დაკავშირებულ მხარეებს, რომლებიც დაინტერესებული არიან მდგრადი განვითარების შესახებ წარდგენილი ინფორმაციით. ფირმას შეიძლება ასევე ჰყავდეს კლიენტები, რომლის მომხმარებლები არიან მსხვილი საწარმოები, რომელთაც შეიძლება ჰქონდეთ საკუთარი მიწოდების ჯაჭვის შესახებ ინფორმაციის წარდგენის ვალდებულება გარე დაინტერესებული მხარეების წინაშე. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნეს სხვადასხვა სერვისები, რომლებიც შეიძლება მიწოდებულ იქნეს ფირმის მიერ.

მომავალი არის ახლა

მცირე და საშუალო პრაქტიკოსების შესაძლებლობები მცირე და საშუალო ბიზნესისთვის საკონსულტაციო, ანგარიშგების, შეთანხმებული პროცედურების და მარწმუნებელი სერვისების ფართო სპექტრის გაწევასთან დაკავშირებით ძალზე დიდია. ახლა ამ მიმართულებით სვლის დროა, რომ შევცვალოთ არსებული მდგომარეობა და გამოვიყენოთ მომავალი შესაძლებლობები. აღნიშნული სარგებელს მოუტანს პრაქტიკას, ადამიანებს და პლანეტას.



ეწვიეთ **IFAC -ის** ცოდნის **პორტალს** აქტუალური სტატიების, ვიდეომასალის და რესურსების მოსაძიებლად, რომლებიც გავლენას ახდენენ გლობალურ პროფესიაზე და დარეგისტრირდით ბიულეტენის მისაღებად, რომელშიც შეჯამებულია ყოველ ორ კვირაში დამატებული მასალა.

ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაცია (IFAC), თავისი წევრი ორგანიზაციებით საზოგადოების ინტერესებს ემსახურება ბუღალტრული აღრიცხვის გლობალური პროფესიის აქტუალურობის, რეპუტაციის და მნიშვნელობის გაძლიერებით. IFAC -ის სამი ძირითადი სტრატეგიული ამოცანაა:

- გლობალური პროფესიის სახელით საუბარი და პოზიციის გამოხატვა
- მომავლისთვის მზად მყოფი პროფესიის ხელმძღვანელობა და განვითარება
- მაღალი ხარისხის საერთაშორისო სტანდარტების შემუშავებაში, მიღებასა და დანერგვაში მონაწილეობა და ხელშეწყობა

‘მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული ინფორმაცია მცირე ბიზნესისთვის - შესაძლებლობები პრაქტიკოსებისთვის’ მომზადდა IFAC -ის მიერ, **მცირე და საშუალო პრაქტიკის საკონსულტაციო ჯგუფის** მხარდაჭერით და ანალიტიკური ინფორმაციით.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, დაგვიკავშირდით ელ-ფოსტით მისამართზე: **christopherarnold@ifac.org.**
თავდაპირველი პროექტები, საკონსულტაციო დოკუმენტები და IFAC -ის სხვა პუბლიკაციები ქვეყნდება ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის მიერ და დაცულია საავტორო უფლებით.

IFAC -ი არ არის პასუხისმგებელი ამ პუბლიკაციაში წარმოდგენილ მასალასთან დაკავშირებით ნებისმიერი პირის მოქმედებით ან უმოქმედობით გამოწვეულ ზარალზე, იმის მიუხედავად ასეთი ზარალი გამოწვეულია დაუდევრობით თუ სხვა მიზეზით.

IFAC -ის ლოგო, ‘ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაცია’ და ‘IFAC’ რეგისტრირებული სავაჭრო და მომსახურების ნიშნებია ამერიკის შეერთებულ შტატებში და სხვა ქვეყნებში.
Copyright © 2021 დაცულია ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის საავტორო უფლებით (IFAC). ყველა უფლება დაცულია. IFAC -ის წერილობითი თანხმობა საჭიროა ამ დოკუმენტის გასამრავლებლად, შესანახად ან გადასაცემად ან სხვა მსგავსი სარგებლობისთვის. დაგვიკავშირდით: permissions@ifac.org

IFAC SMP საზოგადოება

@IFAC_SMP

ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაცია

ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაცია
529 მეხუთე ავენიუ
ნიუ - იორკი, NY
10017 აშშ
+1 212 286 9344
www.ifac.org

International Federation of Accountants